



British Embassy
Tbilisi



UKaid
from the British people



PAi
Strengthening
Governance
Worldwide

gEC
grow expand compete

ctc
Empowering
People for
Change



Empowered lives.
Resilient nations.

ტრენინგი: საჯარო პოლიტიკის ანალიზი

პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“

კურსის აღწერა

ოქტომბერი, 2018

შინაარსი

კურსის მიზანი და შედეგები.....	2
კურსის სტრუქტურა, შინაარსი	2
კურსის თემატიკა	2
პოლიტიკის დოკუმენტი.....	3
ტრენინგები, ტრენინგის მონაწილეები.....	3
ტრენინგები	3
ტრენინგის მონაწილეები.....	3
ტრენინგის განრიგი, ხანგრძლივობა	4
ტრენინგის განრიგი	4
კურსის ხანგრძლივობა	4
ტრენინგის პლატფორმა, მასალები.....	5
ტრენინგის პლატფორმა	5
ტრენინგის მასალები.....	5
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა - პრე-ტესტი	5
კურსის შეფასება	6
მოდულები.....	6
შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი.....	7
დანართები	1
დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა	1
დანართი 2 - კურსის განრიგი.....	7

კურსის მიზანი და შედეგები

კურსის მიზანია, მონაწილეებმა მიიღონ ცოდნა საჯარო პოლიტიკის ანალიზის ძირითადი პრინციპების შესახებ, ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად. გარდა თეორიული სწავლებისა, კურსზე ასევე მოხდება მონაწილეთა პრაქტიკული უნარების განვითარება ქვისების ანალიზისა და ჯგუფური დავალებებით გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალებით. მიღებული ცოდნა და გამოცდილება საჯარო პოლიტიკის ერთეულების თანამშრომლებს დაეხმარება ყოველდღიური სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებაში.

კურსის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ:

- ცოდნა პოლიტიკის შემუშავების მთლიანი ციკლისა და თითოეული ეტაპის განხორციელების შესახებ;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

კურსის მიზნებისა და შედეგების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა**.

კურსის სტრუქტურა, შინაარსი

კურსის ფარგლებში თითოეული ჯგუფისთვის ჩატარდება 10 შეხვედრა, ამასთან 9 შეხვედრა („მოდული“) დაეთმობა კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო მე-10 შეხვედრაზე ჩატარდება დასკვნითი გამოცდა. გარდა ამისა, კურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ, კურსის პარალელურად, ტრენინგისგან დამოუკიდებლად მოამზადონ პოლიტიკის დოკუმენტი წინასწარ შერჩეულ საკითხზე.

კურსის თემატიკა

1-9 მოდულების ფარგლებში ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მოდული 1 - პოლიტიკის შემუშავების პროცესი
- მოდული 2 - პრობლემის გამოვლენა და ანალიზი - მონაცემების მართვა
- მოდული 3 - ამოცანებისა და მათი შედეგების განსაზღვრა და მონიტორინგი
- მოდული 4 - პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრა
- მოდული 5 - გავლენის შეფასება
- მოდული 6 - მტკიცებულებების სინთეზი
- მოდული 7 - პოლიტიკის გავლენის შეფასება
- მოდული 8 - პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება
- მოდული 9 - განხორციელება და დანერგვა

კურსის თემატიკის დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა**.

მოდულებზე, გარდა თეორიული ინფორმაციის მიწოდებისა, გამოყენებული იქნება ქვისები და ჯგუფური აქტივობები, რომელთა მიზანია მონაწილეთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება.

პოლიტიკის დოკუმენტი

მონაწილეებს ტრენინგის დაწყებამდე მიეცემათ დავალება, რომ ტრენინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით, წინასწარ შერჩეულ საკითხზე გუნდურად მოამზადონ პოლიტიკის დოკუმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფები დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა უწყების თანამშრომლებისაგან, თითოეულმა მონაწილემ ტრენინგის დაწყებამდე საჭიროა, წარადგინოს მისთვის სასურველი საკითხი. ტრენინგის დაწყებისას მოხდება ჯგუფის დაყოფა პოლიტიკის დოკუმენტზე სამუშაო გუნდებად (5-6 მონაწილე თითოეულ გუნდში), განხორციელდება საკითხების გადარჩევა და თითოეული გუნდის მიერ შეირჩევა ერთი კონკრეტული საკითხი პოლიტიკის დოკუმენტის მოსამზადებლად. დოკუმენტის მომზადება ხდება მთლიანი კურსის მსვლელობის პარალელურად, ტრენინგისგან დამოუკიდებლად და დოკუმენტზე მუშაობა უნდა დასრულდეს კურსის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. ცალკეული მოდულების დროს, განვლილი მასალის კვალდაკვალ გუნდები შეასრულებენ საკუთარ თემასთან დაკავშირებულ (თემატურ) ჯგუფურ საგარეო შეხვედრებს, რაც მათ დაეხმარებათ პოლიტიკის დოკუმენტის ეტაპობრივ შემუშავებაში. მომზადებული დოკუმენტი შეფასდება ტრენინგის მიერ.

ტრენინგები, ტრენინგის მონაწილეები

ტრენინგები

სატრენინგო პროგრამა შემუშავებულია ბრიტანელი და სლოვაკი ექსპერტების - ფილიპ დევიდისა და კატარინა სტარონოვას მიერ, ქართული გამოცდილების გათვალისწინებით და მას წარმართავენ ქართველი ტრენინგები, რომლებმაც შესაბამისი კონსულტაციები გაიარეს კურსის შემუშავებლებთან. ტრენინგს ჯგუფების მიხედვით წარუძღვებიან: ნანი მაჭარაშვილი და ნოდარ ტანგიაშვილი.

იხილეთ თანდართული ბიოგრაფიები

ტრენინგის მონაწილეები

ტრენინგისთვის შერჩეულია 220 თანამშრომელი შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან:

- მთავრობის ადმინისტრაცია;
- საჯარო სამსახურის ბიურო;
- საქართველოს სამინისტროები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

კანდიდატები გადანაწილებულნი არიან 10 ჯგუფში, გარდა ამისა, ჯგუფში შესაძლოა, დაემატოს შერჩეული ტრენინგ ცენტრის წარმომადგენელი. შესაბამისად, თითოეულ ჯგუფში 22 ან 23 მონაწილეა (22 - საჯარო უწყების და 1 - ტრენინგ ცენტრის წარმომადგენელი). ტრენინგ ცენტრების წარმომადგენელთა ჩართულობის მიზანია

აღნიშნული კურსის მდგრადობა მათ მიერ შემდგომში განგრძობადი ტრენინგების ჩატარების მეშვეობით.

ტრენინგების მიხედვით ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ნოდარ ტანგიაშვილი: 1-ლი, მე-2, მე-5, მე-6, მე-9 ჯგუფები

ნანი მაჭარაშვილი: მე-3, მე-4, მე-7, მე-8, მე-10 ჯგუფები

(ტრენინგებს შორის ჯგუფების გადანაწილება ასევე მოცემულია ამ დოკუმენტის დანართად, იხილეთ **დანართი 2 - კურსის განრიგი**).

ტრენინგის განრიგი, ხანგრძლივობა

ტრენინგის განრიგი

კურსი (ელექტრონული პლატფორმა) გაიხსნება მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს.

ტრენინგების ციკლი დაიწყება 22 ოქტომბერს და დასრულდება 2019 წლის 12 თებერვალს. ზემოთ აღნიშნული 10 ჯგუფისთვის ტრენინგები ჩატარდება 3 ნაკადად.

ამასთან, ჯგუფები განაწილებულია შემდეგნაირად:

I ნაკადი - 1-4 ჯგუფები,

II ნაკადი - 5-8 ჯგუფები,

III ნაკადი - 9-10 ჯგუფები.

ჯგუფების მიხედვით კურსის განრიგის გასაცნობად იხილეთ **დანართი 2 - კურსის განრიგი**.

კურსის ხანგრძლივობა

ტრენინგის თითოეული მოდულისთვის განკუთვნილია 3 საათი, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - 2 საათი. შესაბამისად, კურსის ჯამური ხანგრძლივობა შეადგენს 29 საათს (იხილეთ **დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა**).

კურსის ფარგლებში თითოეული შეხვედრა (გარდა დასკვნითი გამოცდისა) ორგანიზებულია შემდეგნაირად (თითოეული ჯგუფის დეტალური დღის წესრიგი განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე):

I სესია	-	1სთ და 20წთ
შესვენება	-	20წთ
II სესია	-	1სთ და 20წთ

დასკვნითი გამოცდისთვის შესვენება განსაზღვრული არ არის, შესაბამისად, გამოცდისთვის განკუთვნილია სრული 2 საათი.

ტრენინგის პლატფორმა, მასალები

ტრენინგის პლატფორმა

კურსის ტექნიკური მხარდაჭერისთვის გამოყენებულია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დისტანციური სწავლების პლატფორმა www.ctconline.ge (MOODLE).

იმისათვის, რომ კურსის კანდიდატი (გარდა პირველ ნაკადში განაწილებული კანდიდატებისა - იხილეთ ქვემოთ მოცემული შენიშვნა) დაშვებულ იქნას პლატფორმაზე, საჭიროა, გაიაროს რეგისტრაცია ქვემოთ მოცემულ ბმულზე: <https://ctconline.ge/login/signup.php>.

რეგისტრაციის შემდეგ, მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე დასტურის მიღების და დროებითი პაროლის შეცვლის შემდეგ კანდიდატს გაეხსნება საკუთარი ანგარიში.

შენიშვნა: პირველ ნაკადში განაწილებული კანდიდატების (1-4 ჯგუფები) რეგისტრაციას უზრუნველყოფს ტრენინგის პროვაიდერი მხარე.

პლატფორმაზე რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს ტრენინგის მასალებს, შეასრულოს ტესტი, მოახდინოს ტრენინგთან კომუნიკაცია და ისარგებლოს პლატფორმის სხვა ფუნქციებით (პლატფორმის მოხმარების წესების გასაცნობად იხილეთ პლატფორმაზე განთავსებული ინსტრუქცია).

რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე გთხოვთ, დაუკავშირდეთ პლატფორმის ადმინისტრატორს:

თამარ ნასყიდაშვილი, ტელ.: 591400630, ელ. ფოსტა: tamar.naskidashvili@ctc.org.ge

ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალები განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე. მასალები მოიცავს:

1. პრეზენტაციებს 1-9 მოდულებისთვის;
2. საკითხავ მასალებს 1-9 მოდულებისთვის;
3. პრაქტიკულ სავარჯიშოებს და ქეისებს;
4. დამატებით საკითხავ მასალებს (ინგლისურ ენაზე);

სასწავლო მასალები პლატფორმაზე მოცემულია html, ასევე pdf ფორმატში, შესაბამისად, მონაწილეებს საშუალება აქვთ, გადმოწერონ ისინი პერსონალურ კომპიუტერში ან მობილურ ტელეფონში.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა – პრე-ტესტი

სასწავლო ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაციის შემდეგ კურსის კანდიდატებს მიეცემათ წვდომა სასწავლო მასალებზე. იმისათვის, რომ კანდიდატი დაშვებულ იქნას

დასწრებულ კურსზე, იგი უნდა გაეცნოს 1-9 მოდულებისთვის განკუთვნილ საკითხავ მასალებს (იხილეთ მეორე პუნქტი ქვეთავში „ტრენინგის მასალები“) და ამის საფუძველზე შეასრულოს პრე-ტესტი¹. ტესტის მიზანია, ტრენინგის დაწყებამდე ყველა მონაწილეს ჰქონდეს საბაზისო ცოდნა იმ საკითხებზე, რომლებიც განხილული იქნება ტრენინგზე.

- ტესტის შევსება მოხდება პლატფორმაზე და შედეგიც ავტომატურად დაფიქსირდება;
- ტესტი შედგება 10 კითხვისაგან, რამდენიმე არჩევითი პასუხით;
- თითოეული კითხვის სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით;
- იმისათვის, რომ კანდიდატი დაშვებულ იქნას კურსზე, 10 კითხვიდან მინიმუმ 5 სწორი პასუხი (5 ქულა) უნდა დააფიქსიროს;
- პირველ მცდელობაზე არასასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, კურსის კანდიდატს საშუალება ექნება, კიდევ ორჯერ შეავსოს ტესტი;
- სამივე მცდელობაზე არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღების შემთხვევაში, კანდიდატი გადაინაცვლებს ტრენინგის მომდევნო ნაკადში. იმისთვის, რომ კანდიდატი დაშვებულ იქნას მომდევნო ნაკადისთვის განკუთვნილ ტრენინგზე, მან კვლავ უნდა შეასრულოს პრე-ტესტი.

შენიშვნა: აღნიშნული შესაძლებლობა ვერ ექნებათ ბოლო ნაკადში გადანიშნულ კანდიდატებს, თუმცა ეს დაბალანსებულია იმით, რომ მესამე ნაკადის კანდიდატებს მეტი დრო აქვთ პრე-ტესტისთვის მოსამზადებლად.

კურსის შეფასება

მოდული

კურსის დასასრულს ჩატარდება დასკვნითი გამოცდა, რომლითაც შეფასდება მონაწილეთა ცოდნა 1-9 მოდულების ფარგლებში განხილულ საკითხებზე.

- ტესტის შევსება მოხდება ელექტრონულ პლატფორმაზე და შედეგიც ავტომატურად დაფიქსირდება;
- ტესტი შედგება 20 კითხვისაგან, რამდენიმე არჩევითი პასუხით;
- თითოეული კითხვის სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით;
- 20 ქულიდან 15-20 ქულის მიღების შემთხვევაში მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი, რომელზეც მითითებული იქნება „წარჩინებით დაასრულა კურსი“, 20 ქულიდან 10-14 ქულის მიღების შემთხვევაში მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი აღნიშვნით „დაასრულა კურსი“, სხვა შემთხვევაში მონაწილეს სერტიფიკატი არ გადაეცემა. ამასთან, სერტიფიკატი გაიცემა მას შემდეგ, რაც მონაწილის გუნდის მიერ მომზადდება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი.

¹ შესაბამისად, 1-4 ჯგუფებისთვის პრე-ტესტის შესრულების პერიოდად განსაზღვრულია 8-21 ოქტომბერი, ხოლო დანარჩენი ჯგუფებისთვის - რეგისტრაციის დღიდან კურსის დაწყების თარიღამდე პერიოდი, დაწყების თარიღის ჩათვლელად.

- კურსის წარჩინებით დასრულების შემთხვევაში და ტრენერის რეკომენდაციის საფუძველზე, მონაწილეს შესაძლებლობა მიეცემა, მომავალში ჩაატაროს შიდა უწყებრივი ტრენინგი.

შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი

გუნდების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი შეფასდება ტრენერების მიერ, ტრენინგის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და ანალიტიკური უნარის გამოყენების ხარისხის მიხედვით. გარდა ტრენერის შეფასებისა, მონაწილეებმა ასევე უნდა შეაფასონ საკუთარი გუნდის წევრების მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა.

დანართები

დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა

	მოდულის თემა და შინაარსი	მოდულის ამოცანები	მოდულის ამოცანის შედეგები	ხანგრძლივობა
<p>1-ლი შეხვედრა - მოდული 1</p>	<p>პოლიტიკის შემუშავების პროცესი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საჯარო პოლიტიკის ციკლი. ▪ პრობლემის გამოვლენა და ანალიზი. ▪ სტრატეგიული დაგეგმვა. ▪ პოლიტიკის დაგეგმვა. ▪ პოლიტიკის დოკუმენტი. ▪ პოლიტიკის დოკუმენტების იერარქია საქართველოში. ▪ პოლიტიკის დოკუმენტების ჰორიზონტი საქართველოში. ▪ შესავალი: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის პროცესი. ▪ შესავალი: შედეგებზე დაფუძნებული მონიტორინგი და შეფასება. ▪ პოლიტიკის შემუშავების სამართლებრივი და მარეგულირებელი ასპექტები. ▪ ბიუჯეტის დაგეგმვა. ▪ პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო - გადახედვის შემდეგ. ▪ ჭკუფური სავარჯიშო. 	<p>მონაწილეებისთვის გასაგები გახდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თუ რა მოთხოვნები დგას საქართველოს მთავრობის წინაშე პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ▪ თუ რა როლს თამაშობს ანალიზი და მტკიცებულება პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში. ▪ თუ როგორ რეგულირდება საჯარო სექტორი და რეგულაციის გარდა სხვა რა ალტერნატიული ფორმები გამოიყენება. ▪ ბიუჯეტის დაგეგმვა და პოლიტიკების განსახორციელებლად საჭირო ფინანსების განსაზღვრა, საწყის დონეზე (რაც მე-8 მოდულში „ეკონომიკური შეფასება“ არის განხილული უფრო დეტალურად) 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გაიაზრონ, თუ რა კავშირია პოლიტიკასა და სტრატეგიას შორის. 2. გაიგონ, თუ რა როლს თამაშობს მტკიცებულება პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების დროს. 3. გამოავლინონ ეფექტური და ეფექტიანი რეგულაციის შემუშავების შესაძლებლობები და სათანადო მეთოდები. 4. გაიგონ, თუ რა სახის მოთხოვნები არსებობს ბიუჯეტის დაგეგმვასა და პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფის განსაზღვრასთან დაკავშირებით. 	<p>3 საათი</p>

<p>მე-2 შეხვედრა - მოდული 2</p>	<p>პრობლემის გამოვლენა და ანალიზი - მონაცემების მართვა რა სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე? პრობლემის მოცულობის და დინამიკის განსაზღვრა რამდენად აუცილებელია მთავრობის ინტერვენცია? დაინტერესებული მხარეების ანალიზი. პრობლემის ანალიზი (პრობლემის ხე). მოცემული პრობლემის ხასიათის, მოცულობის და დინამიკის დადგენა. მოსახლეობის აღწერის, კვლევის/გამოკითხვის, ადმინისტრაციული და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენება. ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა. საქსტატი და მტკიცებულების სხვა წყაროები. ხელმისაწვდომი მტკიცებულების ხარისხი. ის, რასაც სტატისტიკა ვერ გვეუბნება: გაფრთხილება რაოდენობრივი მონაცემების გამოყენების შესახებ. ჯგუფური სამუშაო.</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეების უნარების განვითარება, რათა დაადგინონ არსებული სიტუაცია და მოცემული პრობლემის ხასიათი, მასშტაბი და გამომწვევი ფაქტორები. ▪ მონაწილეებისთვის უკეთ გასაგები და შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის აღწერის, კვლევის/გამოკითხვის, ადმინისტრაციული და ხარისხობრივი (თვისებრივი) მონაცემების გამოყენება, პოლიტიკის პრობლემის დეტალურად გამოვლენისთვის. ▪ მონაწილეების შესაძლებლობის განვითარება, რომ მაღალი და დაბალი ხარისხის მონაცემები ერთმანეთისაგან განასხვავონ. 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არსებული სიტუაციის დადგენა, ასევე, მოცემული პრობლემის ხასიათის, მასშტაბის და დინამიკის განსაზღვრა. 2. მოსახლეობის აღწერის, კვლევის/გამოკითხვის, ადმინისტრაციული და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენება, პოლიტიკის პრობლემის დეტალურად გამოსავლენად. 3. მაღალი და დაბალი ხარისხის მონაცემების ერთმანეთისაგან განსხვავება. 	<p>3 საათი</p>
<p>მე-3 შეხვედრა - მოდული 3</p>	<p>ამოცანებისა და მათი შედეგების განსაზღვრა და მონიტორინგი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეთა უნარ-ჩვევების გაძლიერება პოლიტიკის ამოცანების და ამოცანის შედეგების განსაზღვრის კუთხით; 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p>	<p>3 საათი</p>

	<ul style="list-style-type: none"> ▪ „ცვლილების თეორიის“ შემუშავება - როგორ უნდა იმუშაოს პოლიტიკამ? ▪ რომელია პოლიტიკის პრიორიტეტული სფეროები, მიზნები, ამოცანები და სასურველი შედეგები. ▪ საჭირო რესურსები, აქტივობები, აქტივობის შედეგები, ამოცანის შედეგები და გავლენები. ▪ სასურველი ამოცანის შედეგების დროულობა და განხორციელებადობა ▪ რისკები, დაშვებები და სენსიტიურობის ანალიზი. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეთა უნარ-ჩვევების გაძლიერება ცვლილების თეორიის ანალიზის შემუშავების და გამოყენების კუთხით; ▪ მონაწილეების მიერ მონიტორინგის და შეფასების გამოყენების უნარის გამომუშავება. 	<ol style="list-style-type: none"> 1. პოლიტიკის ამოცანების და ამოცანის შედეგების განსაზღვრა; 2. ცვლილების თეორიის ანალიზის გამოყენება პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მიზნით; 3. პოლიტიკების უფრო ეფექტიანად მონიტორინგი და შეფასება. 	
<p>მე- 4 შეხვედრა - მოდული 4</p>	<p>პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ შემოქმედებითად აზროვნება. ▪ დაინტერესებული მხარეების ჩართვა. ▪ „ძალაუფლების და ინტერესის“ ანალიტიკური მოდელი. ▪ პოლიტიკის „რეალური“ ალტერნატივის გამოვლენა. ▪ პოლიტიკის ალტერნატივების შერჩევა - მრავალკრიტერიუმის ანალიზი. ▪ მთავრობის ინტერვენცია აუცილებელია? ▪ როგორი შეიძლება იყოს მთავრობის რეაგირება? ▪ ბიუჯეტის დაგეგმვა. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ პოლიტიკის შემუშავებისთვის, განხორციელებისა და შესრულების ალტერნატივების განსაზღვრაში მონაწილეთა შესაძლებლობის გაძლიერება. ▪ მონაწილეთა მიერ პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრასა და დახვეწაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის შესაძლებლობის გაძლიერება. ▪ პოლიტიკის „რეალური“ ალტერნატივის განსაზღვრა. 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პოლიტიკის მთელი რიგი ალტერნატივების განსაზღვრა. 2. დაინტერესებული მხარეების დადგენა და მათი ეფექტურად ჩართვა 3. ერთი ან მეტი პრიორიტეტული ალტერნატივის დადგენა პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. 	<p>3 საათი</p>

<p>მე-5 შეხვედრა - მოდული 5</p>	<p>გავლენის შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გავლენის სხვადასხვა მნიშვნელობები/განმარტებები. ▪ ყველაზე ეფექტური ალტერნატივის დადგენა. ▪ კონტრაქტობრივის საპირისპირო ჰიპოთეზის მნიშვნელობა. ▪ პოლიტიკის ვარიანტების სავარაუდო „სუფთა“ გავლენის დადგენის მეთოდები. ▪ მტკიცებულების წყაროები ეფექტური ინტერვენციებისათვის ▪ „არაფრის კეთების“ ვარიანტი. ▪ კონტრაქტობრივის საპირისპირო ჰიპოთეზის ანალიზი. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ტრენინგის მონაწილეებისთვის „გავლენის“ სხვადასხვა შესაძლო მნიშვნელობის განმარტება. ▪ ტრენინგის მონაწილეებისთვის კონტრაქტობრივის საპირისპირო ჰიპოთეტური ანალიზის ახსნა. ▪ ექსპერიმენტული და კვაზიექსპერიმენტული მეთოდების მიმოხილვა, პოლიტიკის „სუფთა“ გავლენის დასადგენად, სხვა რამის გაკეთებასთან შედარებით. 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გაიგონ „გავლენის“ სხვადასხვა მნიშვნელობა. 2. გამოიყენონ მტკიცებულება კონტრაქტობრივი ანალიზის საფუძველზე, უკეთესი პოლიტიკების შესამუშავებლად. 3. ექსპერიმენტული და კვაზიექსპერიმენტული მტკიცებულების გამოყენება, პოლიტიკის „სუფთა“ გავლენის დასადგენად. 	<p>3 საათი</p>
<p>მე-6 შეხვედრა - მოდული 6</p>	<p>მტკიცებულებების სინთეზი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ რა არის მტკიცებულების სინთეზი? ▪ რატომ გვჭირდება მტკიცებულების სინთეზი? ▪ როგორ ხდება მტკიცებულებების სისტემური მიმოხილვა? ▪ მტკიცებულების სინთეზის ტიპები. ▪ მტკიცებულების სინთეზის საბიბლიოთეკა ბაზა ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეებისთვის მტკიცებულების სინთეზის გაცნობა და ახსნა, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას. ▪ მონაწილეთათვის კვლევის მონაცემების სინთეზირების სხვადასხვა მეთოდების გაცნობა. 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გაიგონ, რა არის კვლევის სინთეზი და რისთვის გვჭირდება ის. 2. კვლევის სინთეზის სხვადასხვა ტიპის გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. 	<p>3 საათი</p>
<p>მე-7 შეხვედრა - მოდული 7</p>	<p>პოლიტიკის გავლენის შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ეკონომიკური გავლენის შეფასება. ▪ სოციალური გავლენის შეფასება. ▪ გარემოზე გავლენის შეფასება. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეებისთვის უფრო გასაგები გახდეს გავლენის შეფასების გზები, როგორც პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გაიგონ, თუ როგორ შეიძლება გავლენის 	<p>3 საათი</p>

	<ul style="list-style-type: none"> ▪ რეგულაციური გავლენის შეფასება. ▪ პროპორციულობის პრინციპი. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<p>სტრუქტურული ინსტრუმენტი.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მიმოხილვა, თუ რა შედის ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოს და რეგულიციური გავლენის შეფასებებში. 	<p>შეფასებების გამოყენება პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.</p> <p>2. ეკონომიკური, სოციალური, გარემოს და რეგულაციური გავლენის შეფასებების განხორციელება.</p>	
მე-8 შეხვედრა - მოდული 8	<p>პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიუჯეტის დაგეგმვა; ▪ პოლიტიკის ხარჯების კავშირი „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა“ (BDD) და შუალედურ ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმებს შორის. ▪ ხარჯთსარგებლიანობა, ხარჯთეფექტურობა და ხარჯთ-უტილიტარული ანალიზი. ▪ ხარჯების და სარგებლის მონეტიზაცია. ▪ დისკონტირება და ხარჯებისა და სარგებლის სხვა სახის კორექტირება. ▪ ე.წ. გადახდის/მიღების მიმართ მზადყოფნა ▪ რისკის და სენსიტიურობის ანალიზი. ▪ ვარაუდების შემოწმება ხარჯების და სარგებლის შესახებ. ▪ წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) დადგენა. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება იმ ეკონომიკური შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც პოლიტიკის ალტერნატივების ხარჯებისა და სარგებლის დასადგენად გამოიყენება. ▪ მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ეკონომიკური შეფასების პროცესში ეკონომისტთან ერთად მუშაობის მნიშვნელობაზე. ▪ ეკონომიკური შეფასების მნიშვნელობის ჩვენება ბიუჯეტის დაგეგმვისათვის. 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების ხარჯებისა და სარგებლის დასადგენად გამოსაყენებელი სხვადასხვა მეთოდის გაგება. 2. ეკონომისტთან მუშაობა ეკონომიკურ შეფასებაზე. 3. ბიუჯეტის ეფექტურად დაგეგმვა. 	3 საათი
მე-9 შეხვედრა - მოდული 9	<p>განხორციელება და დანერგვა</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისა და დანერგვის 	<p>ამ მოდულის დასასრულს, მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:</p>	3 საათი






	<ul style="list-style-type: none"> ▪ განხორციელების გეგმის შემუშავება. ▪ პასუხისმგებლობის დონეები განხორციელებასთან დაკავშირებით. ▪ განხორციელების ადმინისტრაციული ასპექტები. ▪ წარმატებული განხორციელების მთავარი ელემენტები. ▪ ჯგუფური სამუშაო. 	<p>უზრუნველსაყოფად საჭირო ზოგიერთი ძირითადი აქტივობის შესახებ მონაწილეთა ცოდნის გაზრდა.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეთა შესაძლებლობის გაძლიერება განხორციელების გეგმის შემუშავებაში. 	<ol style="list-style-type: none"> 1. განხორციელების გეგმის შემუშავება და გამოყენება პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისა და დანერგვისთვის. 2. ეფექტური პარტნიორების დადგენა განხორციელების ჯაჭვში. 	
მე-10 შეხვედრა – დასკვნითი გამოცდა	20 შეკითხვა 9 მოდულის თემებთან დაკავშირებით, სადაც თითოეული კითხვის პასუხებად რამდენიმე ვარიანტია მითითებული			2 საათი
კურსის მთლიანი ხანგრძლივობა				29 საათი

დანართი 2 - კურსის განრიგი

ტრენინგი: საჯარო პოლიტიკის ანალიზი
განრიგი, ოქტომბერი/2018 - თებერვალი/2019

- უკრებში მოცემული რიცხვები აღნიშნავს ჯგუფის ნომრებს;
- მწვანე, ყვითელი, ლურჯი და იისფერი ფერებით აღნიშნულია ტრენინგის ჩატარების დღე და ადგილი (სასტუმროების ჩამონათვალი იხილეთ განრიგის ქვემოთ);
- დასკვნითი გამოცდის შესაბამისი თარიღები კალენდარზე გამუქებულია.

	<i>ოქტომბერი, 2018</i>	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
ტრენინგი	<i>ნოდარ ტანგიაშვილი</i>																							1	2		1	2			1	2
	<i>ნანი მაჭარაშვილი</i>																							3	4		3	4			3	4
	<i>ნოემბერი, 2018</i>	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
ტრენინგი	<i>ნოდარ ტანგიაშვილი</i>	1	2			1	2		1	2			1	2		1	2			1	2		5				5	6	1,2	5	6	
	<i>ნანი მაჭარაშვილი</i>	3	4			3	4		3	4			3	4		3	4			3	4		7				7	8	3,4	7	8	
	<i>დეკემბერი, 2018</i>	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
ტრენინგი	<i>ნოდარ ტანგიაშვილი</i>			5	6		5	6			5	6		5	6			5	6			5	6			6		5,6				
	<i>ნანი მაჭარაშვილი</i>			7	8		7	8			7	8		7	8			7	8			7	8			8		7,8				
	<i>იანვარი, 2019</i>	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
ტრენინგი	<i>ნოდარ ტანგიაშვილი</i>										9				9			9				9			9				9		9	
	<i>ნანი მაჭარაშვილი</i>										10				10			10				10			10				10		10	
	<i>თებერვალი, 2019</i>	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28			
ტრენინგი	<i>ნოდარ ტანგიაშვილი</i>				9			9					9																			
	<i>ნანი მაჭარაშვილი</i>				10			10					10																			

-  სასტუმრო "ჰოლიდეი ინს"
-  სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერია"
-  სასტუმრო "თბილისი მარიოტი"
-  სასტუმრო "რუმსი"
-  არ არის დადასტურებული